წერილის ნომერი: **18-01222483617**
თარიღი: **05/09/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0122245122
წერილის თარიღი:	02 სექტემბერი, 2022
განმცხადებელი:	გიორგი ჯანიაშვილი
განაცხადის N	AR1882374
მისამართი	ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, (ნაკვეთი 16/098), ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი #11
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.016.150
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „აკვარიუმი 2010“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული 5 ძირი მწვანე ნარგავის (ხემყრალა #4-D=24; #6-D=14; #7-D=13; #8-D=17; აკაცია #5-D=9) ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ინფორმაციული წერილით სამსახურს მომართავს გადარგვის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.***

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება (2)-ს; მათი (#2; #3) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციული

სამსახურის პოზიცია, ნარგავ(ებ)ის გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და გადარგვის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობებს დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს

განცხადება

გთხოვთ განიხილოთ და მოგვცეთ ს/კ 01.10.13.016.150 , ქ.თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდ, ვახუშტის სახ.ხიდის ჩასასვლელთან , გიორგი სააკაძის II გას, #11- ში

#4 ხემყრალა (Ailanthus altissima) , D=24, გადარგვის უფლება.

საქართველო

ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდ., ვახუშტის სახ. ხიდის ჩასავლელთან


გიორგი საკაძის II გას. №11

ს/კ 01.10.13.016.150

მესაკუთრე: შპს "აკვარიუმი 2010" (404854582)

1323 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა
არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარედანგრ. შენობა
აუზი
ხეები
ვაზი
გარე განათება
ხის ღობე
სეტკის ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
სამეთვალყურეო ჭები
ონკანი
ანძა, ანტენა
ბოძები
რეზერვუარი
თხრილი
ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური
ქვის ღობე
ლითონის ღობე
მთავარი იზოჰიფსი
იზოჰიფსი სიმაღლით
ხაზოვანი საკარო რეესტრის მონაცემების მიხედვით
მიწის ნაკვეთის საზღვარი
მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი
ელ. ხაზი
გაზი
ელ. გადამცემი ხაზი
მილი
ქარსაცავი ზოლი

შენიშვნა: მიწის სამუშაოების შესრულება უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან

შპს " აერ ქონსალტინგ"
ltd "AR consulting"
ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №4. ტელ. 5(55)663250
5(99)974595
ar@ararchitecture.info

დირექტორი:		გ. ჯანიაშვილი
ახომა:		ბ. სამხარაძე
დახაზა:		თ. ალთუნაშვილი
დამკვეთი:		

მასშტაბი: 1:500

14.12.2021წ.

saqarTvelo

q. Tbilisi, baqteriofagis mimd., vaxuStis sax. xidis CasavlelTan


giorgi sakaZis II gas. #11

s/k 01.10.13.016.150

mesakuTre: Sps "akvariumi 2010" (404854582)

1323 kv.m. arasasoflo-sameurneo daniSnulebis miwis nakveTis

gegma



pirobiTi aRniSvnebi

WGS 1984 -is koordinatTa sistemis UTM proeqcia

qs sacx. Senoba
qa arasacx. Senoba
farduli
mSenebareDangr. Senoba
auzi
xeebi
vazi
gare ganaTeba

xis Robe
setkis Robe
qvis kedeli
kedeli
flate
rkinigza
sameTvalyureo Webi
onkani
anZa, antena

rez. rezervuari
Txrili
tr.
220
boZebi

transformatori, el. qvesadguri
qvis Robe
liTonis Robe
mTavari izohifsi
izohifsi simaRliT
xazovani sajaro reestris monacemebis mixedviT
miwis nakveTis sazRvari
mezoblis miwis nakveTis sazRvari

el. xazi
g gazi
el. gadamcemi xazi
mili
qarsacavi zoli

SeniSvna: miwis samuSaobis Sesruleba unda SeTanxmdes Sesabamis samsaxurebTan

Sps "Aaer qonsalting"
ltd "AR consulting"
q. Tbilisi, broses q. #4. tel. 5(55)663250
5(99)974595
ar@ararchitecture.info

direqtori:		g. janiaSvili
azoma:		b. samxaraZe
daxaza:		T. alTunaSvili
damkveTi:		

masStabi: 1:500

14.12.2021w.

ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **24 იანვარი 2022 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098 ; ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის ტერიტორიის სამხრეთ -დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან;' ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11;

საკადასტრო კოდი:

01.10.12.016.150;

ფართობი:

1323.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „აკვარიუმი 2010", ID ნომერი:404854582

,

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტის რელიეფის მეტი ნაწილი ვაკეა , ნაკლები დამრეცი ფერსია. აღწერა-შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

ცხრილი№ 1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ-დან 10სმ-ზე) სმ	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ატამი (Prúnus pérsica)	ხე	5	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
2	ლეღვი (Ficus carica)	ხე	14	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
3	ლეღვი (Ficus carica)	ხე	15	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
4	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	24	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
5	აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	9	ჯანსაღი	მრავლობითი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
6	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	13	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	17	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 8

ხილკენკროვანი ხე–მცენარე : 3

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარე : 8

ზეხმელი ხე–მცენარე : -

ხმობადი ხე–მცენარე : -

კერძოდ:

იხ.ცხრილი№ 1

1.დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 5 ძირი:

4 ძირი(№ 4, 6, 7, 8) - ხემყრალა (Ailanthus altissima);

1 ძირი(№ 5) -აკაცია (Robinia pseudoacacia).

2 . ხილ-კენკრვანი სახეობის ხე- მცენარე 3 ძირი:

12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 1 ძირი:

1 ძირი(№ 1) - ატამი (Prúnus pérsica).

2 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარე 2 ძირი:

2 ძირი(№ 2, 3) - ლელვი(Ficus carica).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია საჭიროების შემთხვევაში:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ნარგობის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე














3






















ქ.თბილისი 28 ივლისი 2022 წ.


ნარგავების გადარგვისა და მოვლა-პატრონობის რეგლამენტი

მისამართი: ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ

ს.კ: 01.10.13.016.150;

გადასარგავი ხის რაოდენობა: 1 ძირი

გადარგვის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხემყრალას-Ailantus altisima (D=24 სმ) ღრმა სხვლა-ფორმირება, სხვლა-ფორმირების დროს ხის ვარჯს მთლიანად უნდა მოსცილდეს ხმელი და ხმობადი ტოტები, ხოლო ჯანსაღი ტოტების სიგრძე უნდა დამოკლდეს მაქსიმალურად. სხვლა-ფორმირება უნდა განხორციელდეს განტოტვის არეალებში კვირტისა და ტოტის ნაბარტყის ზედა ნაწილში. ნასხლავ ადგილებს უნდა წაესვას სპეციაური მერქნის დამცავი მალამო, რათა არ მოხდეს ღია ნაწილების დალპობა და დაფაუტება. ვინაიდან ვარჯი მოიხმარს ხის მიერ მიღებული საკვები ნივთიერებების უდიდეს ნაწილს, გასხვლის შემდეგ ეს ნივთიერებები ღეროსა და ფესვთა სისტემაზე გადანაწილდება, რაც ხელს შეუწყობს მათ ზრდა-განვითარებას.



ხის ვარჯის გასხვლის შემდეგ, გადასარგავი ნარგავის გარშემო უნდა მოხდეს მიწის ფენის მოჭრა მოხდება JCB-ს ტიპის სპეცტექნიკით. ხის გადარგვა მოხდება შეკრული მიწის კომით (გაბარიტები: 1.8X1.8/1.2), კომის შემოჭრის შემდეგ უნდა მოხდეს ჰორიზონტალურად განვითარებული ფესვების სხვლა. ვინაიდან აღნიშნული ხის გადარგვა ხდება იმავე ტერიტორიაზე და გადასაადგილებლად არ იქნება საჭირო ხის სატვირთო მანქანის ძარაზე განთავსება, შესაბამისად კომის ჯვალოთი შეფუთვა არ არის აუცილებელი. ვინაიდან ხე ტანდაბალი და 24 სმ დიამეტრის მქონეა, რომელიც არ ითვლება დიდტანოვან ნარგავად, შესაბამისად მისი მიწის კომი არ იქნება დიდი მოცულობის. შესაძლებელია მისი JSB ტიპის სპეცტექნიკის კოვშით ხის ამოღება და გადაადგილება. ხეს ღეროზე უნდა შემოეხვიოს ჯვალოს ნაჭერი რათა არ მოხდეს ხის მერქანის დაზიანება გადატანის პროცესში.

გადაადგილებული ხის ახალ ორმოში განთავსების შემდეგ, ორმო უნდა ამოივსოს ნაყოფიერი მიწით, ორმოს ძირი 10-12 სმ-ზე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, ხოლო ხის ორმოში ჩასმის შემდეგ თავისუფალი ადგილი, არანაკლებ 15-20 სმ სიგანის სივრცე უნდა შეივსოს ასევე ნაყოფიერი მიწის ნაზავით. დარგვის შემდეგ უნდა მოხდეს ფესვის ყელის გარშემო სარწყავი ჯამის გაკეთება. იმისათვის რომ ახლადგადარგული ხე ქარქცევადობისა და გადახრისაგან დავიცვათ საჭიროა მისი დაბმა მიწაში ღრმად დასობილ სარზე, ღვედის ან თოკის მეშვეობით.

გადარგვის დასრულების შემდეგ სისტემატიურად უნდა მოირწყოს ხე, არანაკლებ 20 ლიტრა წყლის დასხმით ყოველ 2 დღეში ერთხელ. სეზონურად უნდა მიეცეს ორგანული სასუქი NPK შემცველობით. გადარგვის შემდეგ სასურველია დანამატის

სახით მიეცეს კალიუმის ნიტრატი რაც ხელს შეუწყობს ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებას. გადარგვის პროცესი უნდა განხორციელდეს შემოდგომის მეორე ნახევარში ან ადრე გაზაფხულზე. გამომდინარე იქიდან, რომ აილანთუსი მაღალი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა, შეუძლია აღმოცენება და ზრდა განვითარება ნებისმიერი ტიპის ნიადაგსა თუ რელიეფზე, აღნიშნული ხის გადარგვის შემთხვევაში მისი გახმობის ალბათობა მოვლა-პატრონობის პირობებში გამორიცხულია.

გადარგვისა და მოვლა პატრონობის რეგლამენტის შემდგენი ექსპერტი:

ექსპერტი: გიორგი ტივაძე